საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № № 01–08/25

21 აგვისტო, 2013წ. **ქ. ბათუმი**

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის” შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2013-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული** (სწავლის წლიური საფასურის ნახევარის გადახდის) და <u>აკადემიური</u> **რეგისტრაციის ვადები** განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბაკალავრიატის და პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის - 2013 წლის 5 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით;
ბ) მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის - 2013 წლის 30 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით;

2. სტუდენტს, რომელიც ვერ გაივლის ადმინისტრაციულ ან/და აკადემიურ რეგისტრაციას შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**